



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 129

2015 წლის 08 სექტემბერი

ქ. თბილისი

სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 2 სექტემბრის N127 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადო ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/წ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის, ნიკოლოზ ბაქრაძის სამსახურებრივი ბარათის (N859822, 07.09.2015) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 2 სექტემბრის N127 ბრძანების მე-3 პუნქტით დამტკიცებულ დანართ ორში - „სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსში მონაწილე პროექტის წარმომდგენ ქართველ მკვლევართა განცხადება“ და აღნიშნული დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი ერთის შესაბამისად;
2. შევიდეს ცვლილება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 2 სექტემბრის N127 ბრძანების მე-4 პუნქტით

დამტკიცებულ დანართ სამში - „საპროექტო განაცხადის ფორმა“ ამ ბრძანების დანართი ორის შესაბამისად;

3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს თეა მჭავანაძეს წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ფონდის ვებგვერდზე: www.rustaveli.org.ge;
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

მარინე ჩიტაშვილი

